



ე

ს

ტ

რ



საყოველ-გვირბო ლიტერატურული და მსატერობითი გაზეთი.

15 დეკემბერს

გამოიცემა

№ 17

კვირამი

1885 წელს.

ფასა „თეატრი“-ს წლით სუთი (5) მანეთი, ნასეკარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა გადათ ხელის მო-  
წერა არ მიიღება. ცალკე ნაშრომი „თეატრი“-ს დირს სამი შაურა. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში  
„თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი:  
Тифлисъ. Въ редакция „Театръ“.

საყოველ-გვირბო ლიტერატურული და მსატერობითი გაზეთი

# „თეატრი“

მიიღება ხელის მოწერა 1886 წლისათვის

(წელიწადი მეორე)

პროგრამა და სიერცე გაზეთი, „თეატრი“-ს იგივე დარჩება, რაც 1885 წ. იყო.

„თეატრი“ გამოვა კვირამი ერთხელ, კვირამით

ფასი „თეატრი“-ს: წლით როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე ხელის მომწერთათვის დირს სუთი (5)  
მანეთი ნასეკარის წლით—სამი (3) მანეთი სხვა გადათ ხელის მოწერა არ მიიღება.

მომავალ 1886 წლიდან აბაპი წერიტული დამოუკიდებელ მონაწილეობას მიიღებს.

ხელის მოწერა მიიღება „თეატრი“-ს რედაქციაში; ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

ქართული თეატრი

კვარას, 15 დეკემბერს

ქართული დრამატული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

ახალი პიესა

## გზა დავარდული ცხოვარნი

კომედია 4 მოქმედ., თარგ. ანისა.


დასასრულ

ლექსი

დასაწყისი 8 საათზე.

ქართული თეატრი

ქართულმა დრამატულმა დასმა კვირას, 8-ს  
ქრისტეშობისთვის წარმოადგინა «ცხოვრების თანა-  
მოგზაური», დრამა-კომედია 4-ს მოქმედებულ, გადმო-  
კეთებული ა. მოხსუბარიძისაგან. ეს პიესა მეტად სა-  
ყურადღებოა, რადგანაც გამიჩინა, რომელიც აქ არის და-  
ხატული, ჩვენი ცხოვრების იდეალია. იდეალია მეტ-  
ქი, იმიტომ ვამბობთ, რომ ჩვენი მატერიალური მე-  
ცხრამეტე საუკუნე იმ განვითარებამდის არ მისუ-  
ლა, რომ იმისთანა ნაყოფები მოგვეცეს, როგორსაც კი  
მოითხოვს პატრიოსანი განათლებული საზოგადოება.  
ამ თხზულებაში დახატულია ის პატრიოსანი ხასიათე-





ეროვნული  
თეატრი

ბის თვისებების მქონე კაცი, როგორც კი შეჭფრობს ყველა განვითარებული საზოგადოების მწვერს, რომ ამ ნაირი ღირსებებით იგი დაჯილდოებული იყოს, რადგანაც შედეგი პროგრესი იქნება. შეიძლება ჩვენ-შიაც არიან ამ გვარი პირნი, მაგრამ მეტად იშვიათი მოვლენაა! რა არის მიზეზი, რომ ჩვენს ქვეყანაში იშვიათნი არიან იმისთანა პირნი, რომლებსაც შეეძლოთ შეასრულონ თავიანთი პირ-და-პირი დანიშნულებანი: ებრძოლონ ქვეყნის წაღმა-უკუღმა ბრუნვას, გააკურნონ ავად-მყოფი საზოგადოება, გამოიციან რა არიან თვითონ და რა ბუნების მოვლენათაც უნდა ებრძოლონ? აი ამ კითხვებს ებრძოლება მთელი კაცობრიობა და ყველა მისი მწვერი ცდილობს რაიმე ნაყოფი სიკეთე დაარჩინოს და ისე არ მოკვდეს, იმის ამ სოფლად არსებობამ ისე არ ჩაიაროს, რომ ნაკვალევი არ ეტყობოდეს. ღიახ, დასაბამიდგანვე, ვიდრე აქამომდის განვითარებული ნაწილი კაცობრიობისა სულ ამ კითხვების მსხვერპლი გახლდა, რომ ეჩვენებინათ მაგალითი ქვეყნობისა. აი, ეს ჩვენგან ზე მოყვანილი პირიც ამ გმირთაგანია, რომელიც ებრძოლება ნაკლებულეზას საზოგადოებისას, შინაურს და გარეულს გარემოებას, მაგრამ ყოველივე ცდა, ყოველივე საშუალება ამაოდ მიდის და უკუღმართი ცხოვრების მსხვერპლი ხდება. ღიახ, იგი კვდება, მაგრამ სიკვდილამდის შეურყეველად ინახავს თავის მტკიცე აზრებს და გზას არ უხვევს. შაბაშ, იმისთანა ახალგაზდა კაცი! შაბაშ, რომ კეთილი საქმისათვის ბნელს სამარეს არ ერიდება!! ზე მოყვანილი კითხვების მიზეზნი ბევრნი არიან, მაგრამ ჩვენ-კი ერთს უმთავრესთაგანს ვიტყვი, რომელშიაც ჩვენი უბედურება მდგომარეობს. ეს განლაგეთ აღზრდა (Воспитание), იგი სრულებით არ გვამზადებს იმ ცხოვრების საბრძოლველად, რომელშიაც მომავალში მუშაობა გეხდება. აი დაასრულა ახალ-გაზდა კაცმა, თუ ქალმა სწავლა და ცხოვრების ასპარეზზედ გამოვიდა. მერე რასა ეხდეთ. ის ოცნება, რომლითაც ის სკოლაში საზრდოვობდა, როგორათაც ქალღმერთი აშენებული სახლი, ისე დაეშალა. ამ შემთხვევაში სრულებით არ ეხმარება ის თეორიითიული სწავლა, რომელიც იმან სკოლაში მიიღო. ყოველივე ნაბიჯი, ყოველივე მოქმედება იმას უოცდება და გასტყრებული შესტყრის. რაღა რჩება ამ პირს? მხოლოდ ორი საშუალება: ან სრულიად დაანებოს თავი ამ საზოგადოებას და ან ამავე საზოგადოების მწვერი გახდეს, რადგანაც არა იარაღი არ აქვს, რომლითაც შეიძლოს ამ საზოგადოების მოსაქმება. რომ ეს ქვეყნობა ფაქტია, ამას ყოველ დღიური

მაგალითი გვიმტკიცებს. აი, მაგალითად დავთლოთ ამ თხზულებაში დახატული ახალგაზდა ნინო (მ. საფაროვი-აბაშიძისა), რომელსაც დაუსრულებია საშუალო სასწავლებელი, იგი სრულიად გეხატავს ეხლანდელი ქალების განათლებას, რომელიც სრულიად აუხვევიათ კეთილი გზისთვის, დაუეიწყებიათ თავიანთ დანიშნულებანი და მხოლოდ ბალ - მასკარადში და არშიყობისთვის უმსხვერპლებიათ თავიანთი ნიჭი. ბანა ამისთანა ქალებს შეუძლიანთ რიგიანი მამულის შეიღები აღზარდონ და პატიოსანი ქმრის მოთხოვნის დამკვიდრებელნი? არა! მართლაცა და ბიორგი ბედკრულადე (მ. ალექ.-მესხიევი) (Кисейная баринья) ქალის მსხვერპლი ხდება, როგორც შელკუნაევი უწოდებს მათ. ის ვერ უძლებს იმის ქცევას და თავის თავი მსხვერპლად მოაქვს. წარმოიდგინეთ, რომ შინ ცოლს უღირსი ქმარი უკვდება და თვითონ მასკარადში სემონს (მ. აბაშიძე) ეარშიყება. აი, ჩვენი თანამედროვე განათლებული ქალები. შინ არის ამ შემთხვევაში დამნაშავე? — თვითონ? არა — მშობლები და აღმზღლები, რომელნიც იმას საძირკველს უდგამენ და მხოლოდ იმას ასწავლიან, ახალ-გაზდა კაცთან როგორ მოიქცეს. რა არის შედეგი ამისთანა ქალისა, როდესაც ქმარი უკვდება? ბანა შეუძლიან შეურყეველად ატაროს პატიოსანი სინილისი? ბანა შეუძლიან ცხოვრებას ებრძოლონ?.. ღიახ, ამათი მომავალი მეტად სამწუხაროა და ისეცა ხდება...


რაიცა შეეხება მოთამაშეთ, ყველამ რიგიანად შეასრულა თავის როლები, მ. საფ.-აბაშიძისამ მ. ნ. ბაბ.-ცაგარლისამ, რომელიც გატაცებულს კნენისა თამაშობდა, მეტად ხელოვნურად იყო დახატული იმის დაცემული ხასიათები, მ. აბაშიძემ მატყუარა, მარაშიყეს — სემონის როლი და მ. მძინაროვისამ საბრალო კეთილი დედის როლი, რომელსაც შეიღოს აშორებენ და განზორებული იტანჯება, რომ თავის შეიღოს ამ საზოგადოების შუა ხედავს, რომელნიც საშინელს ტანჯვას აყენებენ, იმათი მსხვერპლი ხდება და ბოლოს კი გადახვეულნი თავის შეიღოს სიკვდილით იტანჯება. მ. ალექ.-მესხიევის, როგორც ეტყობოდა, ვერ შეეგნო ამ ზევით ჩვენგან აღწერილი ტიპის ხასიათი და ჩვენ თვალწინ იდგა თვითონ ბ. მსახიობი და არა ის ცხოვრების გმირი, რომელიც ამ თხზულებაშია დახატული, მით უფრო იკარგებოდა ილუზია, რომ როლის სწავლაში, მეტადრე უკანასკნელს მოქმედებაში, სრულიად კოჭლობდა. მაგრამ ამ შემთხვევაში არ შეგვიძლიან მსახიობნი გავამტყუნოთ, რადგანაც ცარიელს თეატრში, მხოლოდ სკამებს ელა-



თეატრული

პარაკებიან. რაღა გულით უნდა ითამაშონ. ან კიდევ ვისთვის, როდესაც თეატრში სამ ნახევარი კაცი ზის და იმათაც მისძინებიათ? ღმერთმანი, ჩვენი საზოგადოება გვაკვირვებს და მით უფრო ინტელიგენცია, რომელმაც სრულიად დაივიწყა ქართული თეატრი. სად არიან? რას აკეთებენ? ჩვენა გვგონია, რომ თავიანთ კაბინეტებში ქალაღდებს თამაშობენ და ან არა არტალებზედ და ხაშხედ სჯიან, თუ რომელი უფრო სსსარგებლოა იმათი ნაზი კუჭისათვის. ხუმრობა ხომ არ არის რომ კუჭები გაუნაწყენდეთ, მერე ამ ცივს ზამთარში!..

ა. კავთელი.



ბენეფისი მ. ალექსანდრი-მანსიონისა

ბ ა გ რ ა ტ IV


დრამა

ბ. მესხისა

„ზრასტი ზნაკომ, გაგიმარჯოს, კულა იღოშ საითკენაო!“ ასე იწყება ერთი მუხლი არსენას შაირისა და ეს ტაეპი ბევრჯელ მოგვაგონდება ხოლმე ზოგიერთა, ვითომ—ახალი თხზულების წაკითხვის დროს. ცალ-მოგვი ავტორები აიღებენ ხოლმე სხვის თხზულებას შეკრეკ-შემოკრეკენ, სცხებენ ფერ-უმარილს, სახელს გამოუცელიან და არწმუნებენ მკითხველს: ჩვენი საკუთარი ნაწარმოებიაო.—მინც არ იცის, რასაკერელია დაიჯერებს, მაგრამ ვინც კი იცის, იმან რაღა უნდა თქვას თუ არ: „მანლასო!“ სწორედ ამ გვართავანი არის ბ. მესხის «ბაგრატი IV-ზე» ეს გვაგონებს ჩვენ ერთის რუსის მწერლის ბ. პოლონსკის უხვირო დრამას, რომელსაც სახელად „ღარეჯან“ ჰქეიან.—მართველ-ავტორს ეს ღარეჯანი ზაუზაგრატებია: კაბა გაუხდენებია, წვერ-ულეაში გამოუბამს და გაუძღენია მკითხველეებისათვის.—მაგრამ იმ დალოცვილმა უკეთესი ველარა ნახა რა? აბა სწორედ ამაზე ნათქვამი: „მარხვა ვქამე დოსთვისო და ქურდობა ვქეენ ხბოსთვისო!“ ეს დრამა იმდენად ისტორიულია, რამდენადაც ზღაპრული და ისეც ქართული, როგორც ჩინეთური.—სწორეთ: „ქულა იღოშ, საითკენაო!“ ამისი საქმეა—და მაშასადამე არც მოსვლაა ამისი საკითხავი და არც წასვლა!.. «რა ვუყოთ რომ ისტორიული სიმართლე არ არისო? ისტორიული ჭეშმარიტება არც «სამშობლოში» იყოო! შეიძლება ვინმემ სთქვას, მაგრამ დრამა სამშობლო სულ

სხვა იყო: სხვა ღირსებასთან, იმას ის ბადა აქეს, რომ მკითხველს გაუღვიძოს წრფელი ძრახვები და სულით აამაღლოს, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელი დრამა „ბაგრატი“ სულ წინააღმდეგად მოქმედობს კაცზე. ამის წამკითხველს, ანუ მნახველს ეგონება რომ ჩვენს წარსულ-ცხოვრებაში, გარდა საძაგლობისა არა ყოფილა რა.—მადლობა ღმერთს, რომ ეს ცილის წამებითი პიესა ისე უხვიოდ არის დაწერილი, რომ შთაბეჭდილებას ვერავისზედ მოახდენს!.. «ბაგრატი»-სათვის ნდომებია თეალების დათხრა და თვითონ კი დაუთხრია თავის საკუთარი თეალები, უჯონოთ სცენაზედ, ვგონებ, ველარ გამოვიდეს; და თუ ვინმე გამოიყვანს, უთუოთ მოწყალების სათხოვრად იქნება.—ბუშინ 11-ს ამ თვისას ეს პიესა ითამაშეს ქართულ სცენაზე. საზოგადოდ კარგად ითამაშეს, ყველაზედ უკეთ ბატ. მოხევე თამაშობდა და ყველაზედ უფრო საძაგლოდ ბ. მ. აბაშიძე, რადგანაც ამისთანა უხვირო პიესაში კარგად თამაშობა ხელოვნების შეურაცხყოფაა და აბაშიძემ კი ხელოვნურად ითამაშა.

აჭკი.



ფ ე ლ ტ ო ნ ი

(N-ს)

თუ ბედმან, ჩემმან მუღმივ მღვენელმან,  
სამულამ-ჟამოდ შენთან გამყაროს  
და რა განელიო შორს გზა—დაელიო  
ღღენი სხვის მხარეს და სხვის სამყაროს,—

მანსოვდეს რომა, მე ბედის წყრომა  
ვერ შემაფერხებს და მიჩანს არად,  
თუ შენი გული და სიყვარული  
მექნება შორს მყოფს მკველად და ფარად.

ცახელი

ფ უ ფ ა ლ ა

ღილის ცხრა საათს თეიმურაზი შეგვატყობინებს ხოლმე. სწორედ ამ დროს დგება და გამოდის იქვე რუხედ პირის დასაბანად. შემდეგ დიდი ხანი ივარცხ-



ნის თავს და მეტადრე წვერს და მხოლოდ მაშინ შეუდგება ჩაის სმას. ღედა და რძალი ელოდებიან ხოლმე.

შემდეგ გამოდის ახალუხა და სახლი-კაცებს დაუყვლის. შესანიშნავია მისი სიარული: ნელა დადის, ისე ნელა, რომ კაცს გულს შეუწუხებს; ფეხს ფთხილად ადგამს—წაღები არ გამოცვდესო. ტანისამოსი, როგორც შეეფერება ჩვენს სოფლელ ლარებს აზნაურიშვილს, ერთი ხელი აქვს და დღეობები კი ძალიან უყვარს—მოდის და ნუ გაუფრთხილდები. თეიმურაზს არ შეუძლია შინ ჩუსტებით სიარული, მას კარგად ესმის თავის ღირსება და ჩუსტებით არ შეირცხვენს თავს. სიარულში, ლაპარაკში, სახის გამომეტყველებაში,—მას რაღაც უსიცოცხლოება ეტყობა. ღაუფლის ხოლმე თეიმურაზი შევიდევ კომოს სახლი-კაცებს და მისალმების შემდეგ, მაშინვე იკითხავს:

— ღღეს სადილად რა გაქვს?

— ლობიო, გენაცვალე, სხვა რა უნდა გვეკონდეს?

— მჰ, სულ ლობიო და ლობიო! რით არ მოგწყინდათ ეგ ოხერი, ევა? ღა ხელებ ჩაწყობილი ახალუხის ჯიბეებში მიბრძანდება თეიმურაზ ახლა მეორესთან. ღაუფლის ასე ყველას და საცა ან ქათამი, ან ბატი, ან სხვა რამ ხორცია, იქ დარჩება.

— მაშ დღეს სადილად თქვენსა ვარ.

სადილობამდის იქ არის. ხორცის დანახვად ეს უსიცოცხლო, ზარმაცი, არავეითარის მიზნის მქონი სიცოცხლეში, გარდა ჭამისა, სრულიად შეიცვლება ხოლმე. იქვე ბუხართან, ქვაბის გვერდზედ მიჯდება და დაიწყობს ლაპარაკს, ოხუნჯობას; ზოგს ნანახს ამბობს, ზოგს გაგონილს და ართობს მასპინძელს. ისადილებს და დიდი უმადური დაგრჩებათ, თუ ცარიელი ხორციით ვერ გააძღეთ, რადგან გნებავსთ მოჰკალით და გნებავსთ წვენი აჰამეთ. სადილს შემდეგ მიიძინებს.

— ძლივს არ დაღამდა! ჩამოდენა დღე იყო! ჩივის თეიმურაზი, ეს საღამო როგორღა გავატარო?

მითომ გააკეთოს რამე? თქვენც არ მომიკვდეთ: მთელი ოჯახი რომ ილუპებოდეს, ხელს არ გაანძრევს. «რა ჩემი საქმეა... მე არაფერში ვერევი, ყველა ჩემმა ძამიამ იცისო». მის სებენდიეროდ, იმის დედას რაღაც მანეთ ნახევარი პენსია აქვს თვეში,—მოკაზმულია თეიმურაზი ყოველთვის სუფთად და სხვა არა იცის რა. სახლში მისგან კაცი ვერას გაიგებს; თუ იტყვის რასმეს, ისევე:—„ი სუფრა გაშალეთ, ლოგინი დამიგეთ“-ო. ამ უმოქმედობის გამო დაარქვეს მას შუფალა. საღამოს ჩვენი შუფალა, როგორც სხვები, სალაუბოზედ ატარებს.

სალაუბოს დიდი-ღედა მაკრინეს, აქ ყოველ საღამოს შეიყრება ხოლმე მთელი გვარეულობა, უფროსები დაბრძანდებიან კუნძებზედ ან სიპ-ქებზედ და გრგოლს შეადგენენ, ყმაწვილი ხალხი აქვე კალოზედ «ბუზიკა-დაირას» უკრავს და ლხინობს.

— მერე, ძია, მერე?

მერე, ჩემო ბატონო, შევედგი რძე ასადუღებლად, მივიდა ე შუფალა და ცეცხლა პირას მიჯდა, მეც ვიფიქრე, კაცია, რძეს როგორ გადმოიყვანს-მეთქი, გარეთ გამოვედი, გოჭები უნდა დამემწყვიდია. ღვერვიან ხოლმე ი სამაგლები ვენახებს და... მეტადრე ი დიდი ბურვაკი... მჰეი, რა ღორი დგება და! ისე ღღე არ გავა, რომ ღორ-ხმოდგან არ გამოიპაროს და სიმინდებში არ გადაერიოს. ამას წინად, აი იმ დღეს, გამოჰპარვოდა მწყემსებს, შესულიყო ჩვენი ზურაბას ბოსტანში და ისე ამოვედო კომბოსტო...

— ძია-ჩემო, თქვენ ხომ შუფალას ამბავს გვიბრძანებდით?

— მე რაღას მოგახსენებთ?

— ბოჭების ამბავს გვიბრძანებთ, უთხრა დაცინვით გასათხოვარმა ქალმა.

— აი ვირმა კი აგიკიდას! შე კულიანო, შენა! ღიახ, იმას მოგახსენებთ, გამოვედი, ბატონო, გარეთ; ერთიც ვნახოთ, ერთი საშინელი ყვირილი შემომესმა სახლიდან: არიქათ ჩქარა, გადმოვიდაო! მაიმე დავილუბე, სახლი ხომ არ მეწვის-მეთქი; შევარდი გიყსავით სახლში. თურმე ნუ ბრძანებთ, რძე გადმოსულა და ე ჩვენი ბატონი კი ზის და ყვირის! შე დალოცვილი შეილო, ამისათვის რა გაყვირებდა, ვერ გადმოიღებდი-მეთქი.

შველანი სიცილით კვდებიან. შუფალა გაბრაზდა.

— მის დასცინი, ნეტავი გამაგებინა? ძაცო, შენ არ იყავი რომ...

— ძაცო, კაცო! ბაწყვეტინა ძია-ჩემმა, ნუ იცი, ყმაწვილო, ე კაცობით ლაპარაკი. მითი ახალუხი არ გამოცვეთია შენზედ მეტი?

— რა ექნა, კაცი არა ხარ, მაშ რა...

— ხალხო, გაზეთები, გაზეთები! დაიყვირა ამ ღროს ბალკონიდან ნიკომ და შუფალას ყური აღარაინ უგდო. ლხინი მაშინვე მოიშალა, უფროსები წამოდგნენ და ყველამ ნიკასკენ გასწია. ნიკას «ღროება» ეჭირა ხელში. დიდი—პატარა გარს შემოეხვია.

— Читай передаваю, დაიყვირა ტიტკომ.

— Передаваю კი არა, დაიყვირა შუფალამ, передавая ფეხებზედ მკილია! მოვიდეს შინაური ქრონიკა.



— ლექსები! ძველტონი! ბაიძახოდენ ქალები.

— წაიკითხე, წაიკითხე, ნიკა, ოღონდ წაიკითხე და რაც უნდა იყო.

ასეთი ალიაქოთი, ასეთი ჟღავი-ჟღუფია, კაცს მეორედ მოსვლა ეგონება, ბოლოს მაინც შუფალამ დასძლია და შინაურ ქრონიკას დაუწყო ნიკამ კითხვა. მართი ათ ნომერში იქნებოდა წაკითხული სულ შინაური ქრონიკა (ზორი შორს არის და მგზავრი იშვიათი), რომ გაეფიქრებინა, ქარვასლა ბანკს დარჩენილა. თვით ნიკა გაჩუმდა ამ ამბავზედ.

— Вотъ-тѣ и на! ღაიძახა ტიტკომ.

ჰველანი გაჩუმებულნი იყვნენ და ერთმანერთს შესცქეროდნენ.

— არ გესმისთ, კაცო, ქარვასლა ბანკს დარჩენილა, ჩვენ ბანკსაო! დაიწყო შუფალამ. ჩვენ დაგერჩენილა, ჩვენ! შრა! და შეგადლო ქული ჭერში, სხვებმა ბანი მისცეს და დაიგრილა ერთი ოცი კაცის ურამ და მილიოდენ ქულები ჭერში. ჰველანდ მეტს შუფალა ყვიროდა და ზიგო, ის ზიგო, რომელიც კენჭი რომ ხელში უჭირავს, იქვე მდგომს ვისმე ჰკითხავს ხოლმე: ეს კენჭი საით ჩავადგოვო?

— რა გაყვირებთ, არ გაიგებთ ღირს იმ ფულათ თუ...

— შენ თუ არ ჩაგვაშხამე საერთო სინარული ხომ არ იქნება, შეუტია შუფალამ ტიტკოს. აბა, რა ღროს ანგარიშია? ძაღვი, ის კი ცოტად მიღირს, რომ ქალაქ ჩავალ თუ არა, ე შემოდგომას, მაშინვე ქარვასლაში ავალ, შემოვიყრი დონჯს, გავივლი და გამოვივლი. მაშ! აბა გაბედოს და ხმა გამცეს ვინმემ. ჩემია მეთქი! ჩემი საკუთრება არის მეთქი... შრა!.. შმაწვილებო, განაგრძო შუფალამ, დღეს ჩვენი სინარულის დღე არის, ნუ თუ ამ დღეს არ ვიდღესასწაულებთ?

აქ კიდევ გაჩუმდა შუფალა, ყველანი გაჩუმებულნი იყვნენ. აი რას მოგახსენებთ: ფსონით სადღი გაფაკეთოთ, პიკნიკი, ვინც არა?..

— აგრე იყო! აგრე იყო! დაიყვირა ყველამ.

ბევრი ილაპარაკეს ამ სადღის შესახებ, და ბოლოს დადგინეს: ზეგ ვენახში, კაკლებ ქვეშ, უნდა სადღი გვეკეთებინათ ფსონით; სულზედ ორი ჩანახი სიმინდი გადასჭრეს, ორი კვერცხი და ერთი ჯამი რძე ნაშუქისთვის. სიმინდი უნდა ურიებისთვის მიეყიდნათ და ფულით ცხინვალში ევაჭრათ.

— რა ღროს თიკნიკია, შვილო, სთქვა პოტემ, კაცს კენჭები აბაზად მიმაჩნია და თქვენ კი იძახით თიკნიკია! პოტეს სამი ქალი ჰყავს მოსწრებული და ექვსი ჩანახი სიმინდი მისთვის დიდ დანაკლისს შეად-

გენს. სულ ე შუფალას ბრალი კი არის აი! რა ღროსი მაგას ქამა-სმა გააგონე და თუნდა თავს გაიყიდოს! რა ეხარჯება? აბა, შვილო, წადი შენა მოხანი, დაფარცხე, დათესე, მორწყე, გათოხნე... მაშინა გნახავ, როგორ ილაპარაკებ? იცი ექვსი ჩანახი სიმინდი ამ კალოზბას როგორ მიღირს?...

— შენგან არ მიკვირს, პოტე, უბასუხა ზიგომ, სიმინდი რა სათქმელია? არ მოგწყინდა, ყმაწვილო, ამდენი ვაი-ვაგლახი, დღითი დღე მიწას ჩაეცქერივართ? ძაღვი ვართ, დასვენება გვინდა. დაესდეთ, შენი ჭირიმე, და ერთი მამაპაპურად გადავკრათ. ისეთი სუფრული დაეძახო, ზიგო არ მოგიკვდეს, რომ მტერს თვალები დაუყენო.

— შენ თუ შენი შვილები ყველგან არ გამოაკელი, ხომ არ იქნება, უთხრა პოტეს მისმა ცოლმა, ბარემ ფეხები შეუკარი და კარში ნულარ გაუშვებ. სხვა სოფლებიდან აქ მოვლენ და ჩვენები კი არ ერიონ...

— ამას ვილა ალაპარაკებს? აი დასწყევლა ღმერთმა, ამანაც თუ ფეხი არ გამოყო, ხომ არ იქნება! მაჰიმე! იმ ღმერთს კი რა ვუთხრა, რომ დედაკაცს ენა მისცა და მოძრაობა, უნდა გაეჩინა მუნჯად, უმოძრაოდ, გდებულებიყო ისე და ყოფილებიყო.

პოტეს ყური არავინ უგდო, პიკნიკის (რომელსაც ზოგმა თიკნიკი დაარქვა, ზოგმა ჩიკნიკი) გასამართავად კომისია ამოირჩიეს— ორი კაცი. ძინალამ საქმე დაიშალა, რადგან ყველა კომისიას თავ-მჯდომარე უნდა და პატიოსან თავ-მჯდომარეს ვერ მოულობდნენ. მაგრამ აქაც შუფალამ უშველა.

— მე! მე! ჩემზედ კარგად ამ საქმეს ვერავინ გაარიგებს. ცხინვალშიაც მე წავალ! მჭეი, დედასა, თიკნიკურაზ ნალიმაც... ისეთი ხორცი ვიყიდი... პრეტალა... ზედაც სუკები... შენი ჭირიმე... მე! მე! რა არ ვიცი მე? სად არა ყოფილვარ! რა არ მინახავს? მართი წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩემს თავზედ, თორემ...

მს რასაკვირველია ცარიელი სიტყვებია, არსად ყოფილა გარდა იმისა, რომ შვიდის წლისა გაეგზავნათ რუსეთს და იქ სადღაც კარპუსში ყოფილებიყოს. მესამე კლასიდან გამოეგდოთ და ეტაბით გამოეგზავნათ შინისკენ. მე კარგად მახსოვს მის გადმოსვლა. ტოლი ბიჭები ვისხედით გალავანში, იმ გალავანში, სადაც უწინ მთელი გვარყულობა ცხოვრობდით. მნახოთ ერთი ვიღაც წამოგვადგა თავს. მის დანახვებზედ ერთი კი დავიყვირეთ და გადავეშვიოთ კედლებიდან, — გულ-გახეთქილები მივარდით სალაყ-



ბოზედ და ძია ირაკლის დაუწყეთ ყურება: ის მილიციასი ნამყოფი იყო და რუსული «ძაან იკოდა». ბაუძღვა ძია ირაკლი წინ და მიჰყენენ სხეები შორი ახლო მოსულის სანახავად. ის კი იდგა გაშტერებული შუა გალავანში და აქეთ-იქით იყურებოდა; ალბად ფიქრობდა: ეს გალავანი ის არის, მაგრამ ჩვენი სახლი რაღა იქნაო?

— Ви што хочить, господинъ?  
— Я Теимуразъ Надимадзе.

— ეს ხომ ჩვენი თეიმურაზია, დაიყვრა ძიამ და გადაეხვია. წაიყვანეს სახლში; ძია ირაკლიმ თარჯიმანობა იკისრა და ცხარე ოფლი სდიოდა საწყალს, ისე ძნელი იყო იმ ღამეს მის ვალდებულება: თეიმურაზმა ერთი სიტყვა არ იცოდა ქართული.

მასხოვს ვახშმად ლობიო გვქონდა.  
— ეს რა არისო, იკითხა თეიმურაზმა.  
— ლობიო.

— ნეტავი კი სულ ეს მაჭამა და სხვა არა მინდა-რა.

და მის შემდეგ, ეს თხუთმეტი წელიწადია, ზის თეიმურაზი სახლში, სჭამს და სძინავს. თუმცა ლობიო სიკვდილივით ეჯავრება, მაგრამ მის გაფუფალებას მაინც... ლობიოს ბრალია.

ღიღი ლხინი იყო პიკნიკზედ. ხალხი ბევრი შეიყარა. შუფალამ ხორცის ჯავრი იყარა, ბიგომ ღვინისა, ქალებმა ლეკურის და «კავალრებისა». ძლივს ეღირსა შუფალას თავის ნინუცას ნახვა, რომელიც, ამბობდნენ, შეწყვარებიაო. ძლივს ეღირსა, მაგრამ სადილობამდის საქმე ჰქონდა და სადილად კი მისი აღარა სცხელოდა: ილუკმებოდა გაჩქარებული და თუმცა ნინუცა გვერდზედ უჯდა და შეყვარებულებს ეხლა ჰქონდათ შემთხვევა ერთმანერთის დიდის ხნით ნახვისა, შუფალას აღარც ნინუცა ახსოვდა, აღარც სიყვარული. თუ სადღეგრძელოს სვამდა ვისასმე, გაგიმარჯოსო, დაუძახებდა, რომ ბევრს ლაპარაკში დრო არ ღაჰკარგოდა და მადლობას მხოლოდ თავის დაკვირვით იხდიდა.

დალამდა. მთვარე დაჰხაროდა ამ ქართულს, გულ-გახსნილს ლხინს. ბიგოს შემოესხა გლეხ-კაცობა და მართლა კარგ სუფრულს იძახდა, იქვე ფერხული დაეხათ, ქალები «კავალრებს» ეჯიბრებოდნენ ლეკურში; არა სჩანდა მხოლოდ შუფალა და ნინუცა.

— თეიმურაზი რა იქნა, იკითხა მისმა დედამ ნენემ.

— ძვეით ჩაიარაო, უთხრეს.  
ნენე ქვეით წავიდა და უცბად დაინახა წალამზედ მსხდომი შუფალა და ნინუცა, ის ნინუცა, რომლის შერთვა, ეს რამდენი ხანია, უნდა შუფალას და ნენე კი ნებას არ აძლევს.

— რა გინდა, დედავ და თვალო, ჩემგან? არ დამეხსნები, რას ჩამციებინარ? რათ მართმევ შეილსა? არ შეგიყვან ჩემს სახლში რძლითა, არა და არა, გამოიძერი ბამბა ყურიდგან.. ჰადი ჰამია წვერ-ცამეტას გომბიო უნდა სახლში შემომეგარო განა? ში,

უწინამც დღე დამეღევა!.. დასწყევლო ჩემმა წინდა ბიორგიმ, ეს რა ამეკვიტა ქა? ვერ... უნამუსოს რას მიშვრება! ლამის სულ არ გადამირიოს ე ბავში! მისამარ დამეხსენი, თორემ სულ ბუწუწებით გათრევ შე...  
ბაფთრებული დედაკაცი ჩვენ მოვაშორეთ მტირალ ნინუცას. ამ ამბის დროს შუფალა წასულიყო და ლოგინში ჩაწოლილიყო.

მეორე დღეს მან ისევ ძველებურად იკითხა:  
— ღღეს სადილად რა გაქვსთ?  
ისე დალონებული იყო, ისეთი ტანჯვა ეტყობოდა, რომ წუხანდელი ამბავი ვერაინ მოაგონა, თუმცა ყველას ენაზედ ადგა.

სკეპტიკი.

ს ი მ ლ მ რ ა

(მთიულურში)

ნეტავი გამაგებინა  
მართი რამ გამოცანაო,  
პეპელასავათ რომ ფრინავ,—  
შენ გეკითხები, ქალაო—

მ შენი შავი თვალები  
რისგან არს ჩამოსხმულიო,  
როს გხედავ მწყდება მუხლები,  
ლამობს დაღნობას გულიო.

ზღვა ბობოქრობს, ზღვა ღელავს,  
მენავეები ტირიან,  
ტალღებს ტირილი არ ესმის  
შეუბრალებლად ყვირიან.

გაჯა-ფაჰაჰაჰა.

მხატვართა დამაგონებელი

(მოხსრობა ზანარ-მახოსისა; ნემეცურიდამ)  
(დასასრული \*)

მეორე დღეს თავადი მანასკო თავის საცლოოს ჰატანა, მშვენიერს ბუდუჯში იჯდა და თავისის ღამის თითებით მას თამაჰას უხევედა, როდესაც კნაჰანამ დასიცოლის დიმილით გამოაცხადა სურვილი, რომ მასაც ენახა, ერთსეჟ მანისც, სასულოვანი მსეტთა დამამშვიდებელი, რომლისც განსაც მთელი ქვეყანა აღტაცებაში მოდიოდა.

— როგორ მოგივიდათ მაგ გვარი აზრი? უთხრა თავადმა და ჰაჰაროსი აკანკადა მის სეჟებში, თამაჰა-კი თეთრს თითებს შუა ჩაიხსა.

— მე მაგ პირზე იმდენი სასუტხოვო რამ მიახმეს, რომ განვიძრასე უეჭველად დავესწრა ერთს იმის წარმოდგენათაგანსე და ეს ამ სადამოსეკე უნდა მოსდეს, თქვენის თანდასწრებით, კნაჰო.

\*) იხილეთ „თეატრი“ № 16.



როდესაც ამ საღამოსად დამამშვიდებელი ყაფიანაში შევიდა, დაინახა თავადი და მასთან განსაცვიფრებელის სილამაზის მქონე ქალი, რომელიც გამოთხოვის შესედელობით ამტკიცებდა ლორწოს. ეს იყო გინაყნა, იმისი საცოლო. გერმა მისვდა ამას და აკანკალდა, მაგრამ მხოლოდ ერთს წამს, შემდეგ მან ჩვეულებრივის შედიდურობით და გულ-გრილობით დაიწყო თავისი წარმადგენა. როდესაც ბუღიანი ონისი შემდეგ, გერმა დიდი ლომის წელზე გაწვა და სხვა ლომები-კი გარ-შემოერთებენ, გინაყნამ სმა-მადლა დაიძახა: „ბრაუო“ და ოქროთი სავსე ქისა შეგდო ყაფიანაში. უსიამოვნო დრტვინვა განისმა მყურებულთ შუა. გერმა სულ ერთიანად აკანკალდა და მის განსაცვიფრებლად ლამაზის თვალებიდან ცრემლმა დაიწყო დენა; მან თვით-მოვლბელობა და გარ-შემოერთებულს მხეცებზე მბრძანებლობა დაჰქარგა; დიდმა ლომმა თავი მადლა აიღო, გატყებით შესება მას და უეცრად მარცხენა ხელში სწვდა. მყურებულთაგან ას-სმიერი შიშის-ზარი განისმა, მაგრამ გერმა გონს მოკიდა გადაეც; ერთი მისი შესედევა, სასტიკი ბრძანება და ლომმა ხელი გაუშვა. იგი შორს გასტა, ფაფაში ხელი სტაცა უჩინ ვი-რუტყეს, ფეხი დაბჯინა და წველებით აქამდინ სტემა, ვიდრე ის დამორჩილდა და თვებში გაუგორდა.

მადლი, ხან-გრძლივი ტაშის კერა და ქების მასილი იყო მისი მამაცობის ჯილდო.

— ქორწილი როდისა აქვთ? ჰკითხა გერმამ ედგარს, ყაფიანადგან გამოსვლისას.

— შეკა.

— გარდამიცემ წერილს? მხოლოდ უეჭველად შენის ხელით.

— თუ რომ შენ მიბრძანებ...

— გთხოვ.

გერმამ ხელი ჩამოართო, მაგრამ იმან მის გაშეერილს ხელს ხელი სტაცა და გოცნა დაუწყო.

მეორე დილას, მსეტო დამამშვიდებელმა წერილი მისწერა თავადს. იმას უნდოდა ერთიჯ ესახსა, მხოლოდ ერთიჯ უკანასკნელად და ჩვეულებრივს დროს მსეტო სანახაში სთხოვდა მოსვლას, რომლის სამაგიეროდაც იმის ჯვარის-წერის დღეს ბუხარესტიდგან წასვლას ჰპირდებოდა. ეს წერილი თვით ედგარმა გარდასტა თავადს, რომელმაც თავადი გარდავლო, გაიღიმა და უთხრა: „მოკალ“.

შუადამის ერთის საათის წინედ თავადი მსეტო სანახაის პატარა კარებთან იდგა. კარი, ჩვეულებრივად, უსმაროდ გაიღო. გარსკვლაკების და თოვლის მკრთალს ნათელზე გამოჩნდა გერმა მოკლე ბეწვიანს ტანისამოსში ჩადმული. მან სტაცა თავადს ხელი და სიფრთხილით გაატარა ხელს დერეფანში. ჩვეულებრივად დაიჭრისდეს მეორე კარის ახჯამებმა და გერმამ სრულიად ხელს სივრცეში შეიფანა თავადი, უელსედ მოკვირა და კელურის სინაზით ავოცა.

შემდეგ უეცრად გაქარა; კარები მალსედ მიჩასუნდა და თავადმა თვისით რაღაც ცოცხალი, მმოძრავი იგრძნო. რა უნდა იყოს? განა გერმამ, ჩვეულებრივად, თავის პატარა საპირ-ფარეშოში არ შეიფანა?

წუთის შემდეგ, წითელი სინათლე გამოჩნდა. გერმამ ლომების ყაფიანის გრგოლში ადგხნებული ჩირადი გა-

მგრა, ყაფიანაში ლომებით გარ-შემოერთებულ იმყოფებოდა. გერმა გულ-სკლ-დაკრეოელი იდგა ყაფიანის გარედან და ცივად შეჭურებდა მას თავისის დიდრონის ტრედის ფერის თვალებით; მის ტუჩებსე სატანური დიმილი თამაშობდა.

ჩქარის მოძრაობით მივარდა თავადი კარების გასვლებად, მაგრამ ამაო იყო მისი ცდილობა.

— ღვთის გულისთვის, გერმა, რა გინდა ჰქმნა?

— მე დღეს ჩვენს ქორწილსა კვლასსწავულობ და ლომები სტუმრებდა მუავს მომატიყებული.

— ხომ არ გაგაყდი?

— სრულს ჰგუასედა ვარ; შენ მილალატე, — მეც ეს სიკვდილი გარდაგიწვიტე. წინ, ჩემო მეგობრებო!

მან გააღვიძა მძინარე ლომები და თავისის წველებით გამძინვარება დაუწყო; მაშინ, როდესაც თავადი ყვიროდა და საშველად იწვევდა ხალხს, მაგრამ მისი მასილი წამთრის ქარიშხალმა დაფარა. ლომები, გერმასაგან გამხევებულნი და გამძინვარებულნი, დაუტახტენ თავადს. სისხლმა გიდეტ დაიწყო დენა. იგი კვედრებოდა და თავ-განწირულად იგერებდა ცნოფებულს მხეცებს, მაშინ როდესაც გერმას ყაფიანის ცივს რეინასედ მიუბჯინა სხე და კმაყოფილებით შეჭურებდა იმის სიკვდილის წინა წამებს.

კარგა ხანმა გაიარა, ვიდრე ლომებმა არ გაათავეს თავისი საძინელი საქმე. როდესაც თავადი მკვდარი კვდო ყაფიანის ატაკსედ, ისინი შიშით გაბრუნდენ და დასის-სლიანებული გლანტების ლოკას მოჭვენენ.

ამავე დამეს მშენიერი მსეტოს დამამშვიდებელი გაქრა ბუხარესტიდგან და არავის არასოდეს აღარა გაუგონია-რა იმახედ.

ა. ხს — ავგი,

# „ბლუკუნა“

ლიტერატურული და პოლიტიკური გაზეთი.

გამოდის ყოველ-დღე, ორ-კვირისაში ერთხელ

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენს ლიტერატურაში გამოჩენილნი: ჩაჭყაზე, გვირდელაშვილი, ფიწილა, ლოჭია, ჭეჭეტი, კომპუა, ჩასტია და სხვანი მრავალნი.

უასი მთელის წლისა ცხრამეტი შაური და ორი გროში, სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

თბილისი, 15 დეკემბერს.

სამ შუბლი შეჰკრა, ცივმა ნივთმა შემოაუბერა და ბუნებამ ისხვაფერა. ტურთა გაზაფხული წაიდა, რომ მერმის კვლავ მოვიდეს და ზამთრით გულ-ჩახურულბებს, ქუდი ქერში გვაკრევიროს და „ლოთებო ნეტავი ჩვენა“ გვაძახებინოს. ღვთის წყალობა ის არის, რომ ღმერთს ყველა ბუნების წესზე და რიგზე არ დაუწესებია, რომ ძველი გაუნათლებლობა, ხეარობა და საშუალ-საუკუნობის დროები გაზაფხულით ისევ უკან არ გვიბრუნდებდა და თან-და-თან გაუკეთესობაში შედის. რაც უფალს დაუწესებია, ყველაფერი კარგად დაუწესებია, ვენაცვალე ქრისტეში!



ქართული  
მეცნიერებათა  
აკადემია

ღიან, ყველაფერი ცვლებოდა! ძაცი იცვლება, დრო და ჟამი ხომ იცვლება! და იცვლება: გუშინდელი დღეს აღარ არის, დღევანდელი ხვალ აღარ იქნება. დრო იყო, როცა ერთი მოკითხვის წერილის წასაკითხავად მთელი ქალაქი უნდა მოგერბინა, რომ წიგნის მცოდნე კაცი გეზოენა, ესლა ჩვენმა ბაყლებმა სკანდარნოვის ლექსები სულ ზვირად იცინა. პინტო არ არის, რომ ანა-ბანა არ იცოდეს,, თუ შეითან-ბაზრის უნივერსტიტეტში შეუსრულებია კურსი. დრო მოვა, როცა ჩვენი ბაყლები - შეითნები ცალი ხელით ხურმას ასწონავენ, მეორეთი შექსპირს წაიკითხავენ, და ბაირონის პოემები სულ ზვირად ეცოდინებათ. მა მართლა, რა დრო იქნება და!..

მართაც ენახოთ ჩვენ მახალ-ბალოუსთან ბოლალ-როდნი ვინმე დგება და ქიშმიშ-ლაბლაბოს ყიდვა უნდა, ევაჭრება და მახალა-კი ხმას არა სცემს, თავ-ჩალუ-ნული დაზგაზედ რაღასაცა სწერავს.

— როგორ გირვანქა? მკითხება მევსედ მყიდველი.

— მოიცა, კნიაზჯან, არა მკალიან, გაწეთისთვის სტატისა ვწერავ, სტამბაში უნდა გავგზავნო, მეჩქარება. ხა! ხა! ხა! ხა!..

დრო იცვლება, დრო, ჩქარა წყალივით მიმდინარეობს და სულ ახალი ხალხები, ახალი თევზები და მეთევზეები, ახალი მსხვერპლები... მიდის და თან მიგვანეტებს ნება-უნებურად, მოვა დრო, როცა ათის და ოცის თუმნის მაგიერად კაცებს აიღებენ ქრთამებად,—როცა ჩვენი აბლაკატები ისე გავრცელდებიან, რომ უსაქმურობისაგან თითონვე ჩაიდენენ კაცის მკვლელობას, თავი დავიცვათ და ჩვენი მკვერ-მეტყველობა გამოვიჩინოთო, — როცა ქურდები შენი ქონების მაგიერად შენ მოგიპარავენ და «თეთრს ღუქანში» ნახევარ ჩარექს ღვინოში დაგაგირავენბენ,—როცა ჩვენი ქალები ფენის გულზედაც-კი ფერ-უმარილოს წაისომენ და კურტუმ-ტიურნურებს იქამდინ გაიზრდიან, რომ კაცები ფაეტონების მაგიერად, იმათ დაიქირავენბენ, ზედ შესნდებიან და... მერიდგან ჰავლაბარში, ჰავლაბრიდან მერაზე... ტაღდა კონკა ქ ჩორტუ!..

ახალი ამბები

— «მისანი» შარშანდელს ქართული თეატრის ანტრეპრენიორთან წასულა საჩივლელოდ, რომ ქართული დასი ყურს არ მივდებს და ისევ შენ მიპატრონეო. იმედი გვაქვს, ბ. ნანტრეპრენიონარის კეთილი გულისაგან, რომ უნუგეშოდ არ დასტოვებს ამ საბრალო საპყარს.

— ბ.ბ. ჩირჩილთ საჩივარი შეუტანიათ სუდში დრამატულ საზოგადოებაზე, რომ საზრ-

დო წაგვართვეს და შიმშილით ვინოცვნიანო, როგორც გავიგეთ, მისი საჩივარი შეუსწარმინათ და დაბარებულნი არიან, როგორც თავეს-მჯდომარე, აგრეთვე წევრები სეკრეტრითურთაო.

— როგორც შევიტყუთ, ბ. მეუნარგია «მეფის ტყალანის» ჩინურს ენაზედ გადათარგმნას აპირებს და ამიტომ ბორს წავიდა, რომ იქილამ ტივით ჩინეთში გაემგზავროსო.

ლექსები

\* \*

რას დალონდით, მოიცვენით დარდებით, იქეიფეთ, ზურგზე ნუ დავარდებით!

რა ვუყოთ რომ ზენა ქარი ცივად ჰქრის, მწვანე ფოთოლს აყვითლებს და ძირსა ჰყრის, რომ ლურჯს ცასა შუბლი შავად შეუკრავს და ლუღუკი მწარედ ზუზუნებს, ჰკენესავს?

რას დალონდით, მოიცვენით დარდებით, იქეიფეთ, ზურგზე ნუ დავარდებით!

ბაზაფხული მოვა, კვლავ გვესტუმრება, ხე-ყვავილი კვალადვე ამწვანდება, მოქურუხულს ცას შუბლი გაეხსნება და ლუღუკიც ტბილად აზუზუნდება...

იქეიფეთ, აღრინდელებო ილხინეთ, მაგ სიამით, ღხინით მთვარეც იხილეთ!..

ვის ვმტრზი

მერა ქალსა, მლაღატს, გაუტანელსა, მცბიერს, მზაკვარს, ფლიდსა, მშხამავსა გველსა არ ვენდობი, არ მწამს მის ქადაგები, ბუღს უსხედან ჯგუფად ტარტაროზები.

შავ-თმიანის, შავ-წარბას, შავ-თვალეებს ძოცნას, ალერსს, მისსა შეტრფილეებს, მასთან ყოფნას ერთსა წუთიერებას ცას ვადარებ, ციურს ბენდიერებას.

ძუძუ-კოკობს, ეშხინასა, ტურფასა, წვრილ-ტუჩებსა, ალვად რგულსა, ქორფასა რომ იცოდეთ, ვითარ ვმონებ, შეესტრფი ვით... მიწვი, ვხმები ლაღუას ტირიფივით!

ს—ს!

რედაქტორი და გამომცემელი ვ. აბაშიძე.